

ათასი გირვანქა სტერლინგი ერგება. მშვენივრად კი მოაკვა-
რახჭინე ეგ საქმე! და ერთი ესეც მითხარი, იმ გოგოს საიდან
იცნობ?

– ჩემი დისშვილია... გავბედავ გითხრათ, მეტი ყურადღე-
ბა გმართებთ, სერ – ეს-ესაა კინალამ ომნიბუსს შვევეჯახეთ!

არა კურთხევითა მსაჯულისა

ბრალდება იმგვარი რკინის ლოგიკით გახლდათ შეკრული,
ქვას გახეთქავდა. მოსამართლემ პენსნე დაიკოსა ჩამოგრძე-
ლებულ ცხვირზე და შეუვალი ხმით განგვიცხადა:

– ბრალდებულ ვუსტერს (აქ ჩემი გვარის გაგონებას მინა
გამხეთქოდა, ის მერჩივნა) – 5 გირვანქა სტერლინგის ჯარი-
მა...

– რაზეა ლაპარაკი! – შევიცხადე. – გავსწორდეთ ალა-
გობრივ!

დარბაზში მიმოვიხედე და იქვე ჩემს ლაქიას, ჯივზს ვკი-
დე თვალი.

– ჯივზ! – ვეუბნები, – ხუთფუნტიანი არ გექნება? ჯივზე
მთლად გამოცარიელებული მაქ...

– ხმა-კრინტი! – დაიბღავლა რომელიღაც გამოქანთარე-
ბულმა ბოქაულმა.

– უცილობლად მჭირდება მცირე ფინანსური კონსულტა-
ცია, თქვენო ღირსებავ, – ვუხსნი მოსამართლეს. – ჯივზ, ფუ-
ლი გადაიხადე, სასწრაფოდ!

– ეს კაცი ვინაა? – კითხულობს მისი მაღალღირსება.

– ამჟამად ბრალდებულის სამსახურში ვდგევარ, სერ. მისი კამერდინერი გახლავართ.

– თუ მართლა ასეა, მაშინ შეგიძლიათ ზემოხსენებული თანხა სასამართლოს კლერკს ჩააბაროთ.

– მესმის, სერ.

მოსამართლემ მძიმე-მძიმედ დამიქნია თავი, თითქოს ადასტურებდა რომ ჩემთვის ხუნდების დადება აღარ იყო საჭირო. სამაგიეროდ, ახლა საბრალო სიპის გახედა და თან ისე, ძარღვებში სისხლი გაგეყინებოდა კაცს.

– რაც შეეხება მსჯავრდებულ ლეო ტროცკის, რომელმაც ეჭვი მაქვს, თავისი ნამდვილი გვარ-სახელი დაუმალა მართლმსაჯულებას, მის მიმართ წაყენებული ბრალდება, მე ასე ვიტყვოდი, შეუდარებლად უფრო მძიმეა: სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების მდგომარეობაში მყოფი კანონდამცველისათვის ხელის შებრუნება უპატიებელია მისი უდიდებულესობის ნებისმიერი ქვეშევრდომისათვის! მართალია, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებს შორის მიმდინარე ყოველწლიური რეგატის დროს გარკვეული შეღავათებია დაწესებული, მაგრამ კონსტებლის ცემა მათ ჩამონათვალში არამც და არამც არ მოიხსენიება. ასე და ამგვარად, მსჯავრდებული ლეო ტროცკი 30 დღე-ღამეს ციხის საკანში გაატარებს...

– კარგით, რა! – წამოიკნავლა საბრალო სიპიმ.

– ხმა-კრინტი! – იბლავლა ისევ იმ გამოქანთარებულმა ბოქაულმა.

– გადავდივართ შემდეგ საქმეზე, – წართქვა მსაჯულმა და სწორედ ასე დაიწყო ეს ამბავიც.

უნდა გითხრათ, ჩვენ უბრალოდ ბედმა გვიმოუხთლა. მართალია, მთლად ყველაფერი კარგად არ მახსოვს, მაგრამ ძირითადად მაინც, საქმე შემდეგნაირად იყო:

მოგეხსენებათ, საკმარისად თავშეკავებული კაცი მეთქმის, მაგრამ წელიწადში ერთხელ მეც ვაძლევ თავს უფლებას, ასე ეთქვას, ახალგაზრდობა გავიხსენო და ცოტათი ავუშვა აფრები. ცხადია, იმ დღეს ვგულისხმობ, როცა ოქსფორდსა და კემბრიჯს – ამ ორ, ძირძველ ალმა მატერს შორის ნიჩბოსანთა ტრადიციული შეჯიბრი იმართება. უფრო სწორად, იმ ღამეს, როცა ეს შეჯიბრი დამთავრდება ხოლმე... ასე რომ, როცა სიპის გადავეყარე, უკვე გვარიანად ნაყლაპი გახლდით.

არადა, სწორედ იმ ღამით სიპი ისე გამოიყურებოდა, თითქოს მთელი ქვეყნის სადარდებელი მისთვის აუკიდებიათ მხრებზეო და ისე შემეცოდა, ღამის ეული ცრემლიც კი გადმომიგორდა ყვრიმალზე.

– ბერტრამ ჩემო, – მეუბნება როგორც კი ფეხი ავუწყვეთ ერთმანეთს და უახლოესი პაბისკენ გავსწიეთ. – შეურევბული სული სულ მცირე იმედსაც კი ებლაუჭება... (ეს ჩვენი სიპი ლიტერატორობაზე დებს თავს და შიგადაშიგ, სწორედ რომ ამგვარი ამაღლებული მეტყველება სჩევია) გარნა სულს ჩემსას ახლა ჩასაბლაუჭებელიც აღარაფერი შემორჩა ხელთ... მთლად უსასოოდ ვარ, ბერტი.

– ასეთი რა გეტაკა, ძველო? – ვეკითხები. კარგად გამიგეთ, მთლად უსახსროდო რომ ეთქვა, კიდევ გაუფგებდი, რაკილა ერთიანად მამიდამისის კმაყოფაზეა, მაგრამ უსასობაზე წუნუნი ამ ბიჭს ნაღდად რომ არ სჩვეოდა.

– არა უგვიანეს ხვალინდელი დღისა, პირადად უნდა გავემგზავრო ლონდონ-ქალაქიდან და მამიდაჩემის ყოვლად, სრულიად აუტანელ ნაცნობებს ვესტუმრო ჩეშირში. თავად

ინება ასე და ახლა ნუ გაიკვირვებს, ძმისშვილის წყევლამ თუ უნია ჩინურ ვარდებს მისსავე ყვავილნარში...

– ამისთანა რა სჭირს იმ ხალხს? – გავიკვირვე.

– არც არაფერი, გარდა იმისა რომ მთელს ბრიტანეთში გამორჩეული ბრიყვები არიან... ათი წლისა ვიყავი, უკანასკნელად რომ ვსტუმრობდი მაგათ და მხოლოდ ასე და ამგვარად დამამახსოვრეს თავი.

– მძიმე შემთხვევაა, – მივუსამძიმრე. – და რას აპირებ?

– არ ვიცი, ბერტი, არაფერი არ ვიცი... მთელი სამყარო რუხ ფერებში მეხატება და ვერც სინათლეს ვხედავ გვირაბის ბოლოს.

სწორედ ამ დროს, ერთმა აზრმა მხია თავში – ღმერთმანი, გონების ეგეთი გასხვივონება მხოლოდ ყოველწლიური რეგატის ღამეს თუ დაგემართება კაცს!

– ახლა შენ ერთი კარგი ჩაფხუტი გჭირდება! – დავიჯინე.

– დარწმუნებული ხარ?

– თქმაც არ უნდა! შენ ადგილას, ახლა ქუჩის მეორე მხარეს გადავიდოდი და იმ ჩაფხუტს დავავლებდი ხელს.

– კონსტებლს რომ ახურავს თავზე?

– აბა სხვას ხედავ კიდე?

სიბი ჩაფიქრდა.

– მართალი უნდა იყო, ხომ იცი... ნეტა აქამდე თვითონ რატომ არ მომადიქრდა! ნაღდად გამომადგება. – თქვა და სარგადაყლაპულივით მდგარი კონსტებლისაკენ გაემართა.

ახლა ალბათ, თქვენთვისაც გასაგები იქნება, რატომ მეთანალრებოდა გული. თავად გადავრჩი და სიბი კი ჩავაგდე ცუდ დღეში: სულ რაღაც ოცდახუთი წლის ახალგაზრდა კაცი, რომლის წინაშეც შეიძლებოდა ყველა კარი გაღებულიყო

და ცხოვრების ფართო გზაზეც... მოკლედ, ყოველივე ამის მაგივრად, ოლივერ რეჯინალდ სიპერლი ახლა ციხეში იჯდა და შეიძლება ითქვას, სწორედ ჩემ გამო. არა, მაინც რა გინდოდა გექნა?

გასაგებია, უპირველესად უნდა მომენახულებინა და გამეგო, რამე თხოვნა-სურვილი ხომ არაფერი ექნებოდა. მივდექ -მოვდექი და ბოლო-ბოლო, ერთ ვიწრო, ნახევრად განათებულ ოთახში ამოვყავი თავი. კედელთან მიდგმულ ძელსკამზე სიბი იჯდა, თავჩაქინდრული.

– აბა, როგორა ხარ? – ისე ვეკითხები, მიპანაშვიდებულ ავადმყოფს რომ დაეკითხებიან ხოლმე ცალტვინა ახლობლები.

– La commedia è finita! – მეუბნება თავაულებლად. – მორჩა თამაში, ცოცხლებში აღარ ვწერივარ.

– კარგი ერთი! არც მთლად მასეა საქმე. კიდეც კარგი, ჭკუა გეყო და შენი ნამდვილი სახელი არ გაამხილე – ხვალინდელ გაზეთებში რაც დაინერება, იმას შენზე არც არავინ გაიფიქრებს.

– მაგის დარდი მაქ?! შენ ისა თქვი, სამი კვირა როგორ უნდა გავატარო ჩემშირში, პრინგლების ოჯახში, თუკი აქ ვიქენი გამოკეტილი და ფეხებზეც ხუნდები მედება?

– ხომ გაიძახოდი, იქ წასვლას ყველაფერი მირჩევნიაო, აკი აგხდა...

– საქმე ის კი არაა, მე რა მინდა და რა – არა! მამიდაჩემს არ იცნობ? თუ იმათსას დროზე არ გამოვჩნდი, მამიდაჩემი ვერონიკა ყველაფერს გაიგებს და მორჩა – მომკვეთავს სანათესაოდან. ფეხსაც აღარ შემადგმევინებს სახლში, ფულად შეწევნებზე რომ აღარაფერი ვთქვა.

რას ერჩი, საღად კი მსჯელობდა.

– ამას ჩვენ ორნი არ ვეყოფით, – ვეუბნები. – უფრო მძლავრი ტვინი გვჭირდება. ჯივზს უნდა შევხვდეთ.

რაღაც-რაღაცეები კიდევ გამოგვითხე და სახლში წამოვედი.

– ჯივზ, – ვეუბნები, როგორც კი მის მიერ წინასწარ და წინდახედულად მომზადებულ ერთ ჭიქა მაცოცხლებელ სითხეს გეახლებით. – რაღაც მინდა გითხრა. მისტერ სიპერლის ეხება...

– გისმენთ, სერ.

– სიპი ჩემს გამო აღმოჩნდა ამ დღეში, ჯივზ.

– ეგ როგორ, სერ?

– როგორ და ეგრე. უხასიათოდ იყო და მეთქი ცოტა გა-
ვამხიარულე. გვარიანი ნაყლაპი ვიყავი, რა ჭკუა მომეკითხე-
ბოდა... მოკლედ, ვურჩიე პოლიციელს ჩაფხუტი აცაღე თა-
ვიდან-მეთქი.

– ვერაფერი გართობაა, სერ.

– ჯივზ, შენი რჩევა მჭირდება და არა კომენტარები. მოკ-
ლედ, სიპი მთლიანად მამიდამისის კმაყოფაზეა...

– მისის სიპერლი იორკშირიდან, პედოკ-როუდი, ბეკლის
მამული, სერ?

– შენ რა, იცნობ?!

– პირადად არასოდეს შევხვედრივარ, სერ, მაგრამ იქვე,
სოფელში ჩემი მამიდაშვილი სახლობს და ერთხელ მითხრა
– დიდად ქედმაღალი ქალბატონია, ხასიათიც მეტად ფეთქე-
ბადი აქვსო.

– ნამდვილად. მისთვის სიტყვის შებრუნება და – მორ-
ჩა! რამდენიმე წლის წინ წერილი მოსწერა – საქველმოქმე-
დო საღამოს ვაწყობ სოფლის ბავშვებისთვის, იქნებ გვიკადრო,
ჩამოხვიდე და თითო-ოროლა სიმღერაც გვიმღეროო. ეს „იქ-
ნებ გვიკადრო“ კი ხვდები ალბათ, რასაც ნიშნავს – ამისთანა
თხოვნა დედოფლის ბრძანებას უდრის, ღმერთმანი. სიპისაც

რა ექნა – მართალია, ერთხელ უკვე მიაღებინეს ამგვარ ლო-
ნისძიებაში მონაწილეობა და ბლომად ლაყე კვერცხები და დამ-
პალი პომიდორებიც დააყარეს... ასე რომ, ამგვარ სცენურ კა-
რიერაზე ნაღდად აღარ ოცნებობდა. გასაგებად ვყვები, ჯივზ?

– სავსებით. სერ.

– ამიტომაც, ჩვენმა სიპიმ მამიდამისს უპატაკა – დიდად
ვწუხვარ, მაგრამ ეს-ესაა გამომცემლობასთან ხელშეკრულება
დავდე, სტატიების მთელი რიგი უნდა დავწერო კემბრიჯზეო.
ასე რომ, სამი კვირით მივემგზავრები იქო. მისის სიპერლიმ
ქცევა შეუქო, კარგია რომ ცხოვრებისეულ სიამოვნებებზე
მეტად სამუშაოზე ფიქრობო (სიამოვნებებში ეტყობა, სოფ-
ლის კონცერტზე მღერა-თამაში და ლაყე კვერცხების სროლა
იგულისხმა) და რაკი კემბრიჯში ჩახვალ, ჩემს მეგობრებთან,
პრინგლებთან დაბინავდები, აბა სასტუმროში ხომ არ იქირა-
ვებ ოთახსო. მერე კი პრინგლებთანაც აფრინა დეპუტა – არი-
ქა, ჩემი ძმისშვილი გესტუმრებათ და აბა, თქვენ იცითო. იმა-
თაც დიდად გაიხარეს თურმე – ყოველ შემთხვევაში, ქალა-
დზე მაინც... ახლა კი სიპის 30 დღე მოუწევს ციხეში ყურყუტი
და ხომ გესმის, რითი შეიძლება ყველაფერი ეს დამთავრდეს?
მოკლედ, შენს იმედზე ვართ, ჯივზ. მოიფიქრე რამე.

– ვეცდები, სერ.

– აგაშენა ღმერთმა. ახლა კი წადი და ორ-სამ საათში ვე-
ლი შენგან შედეგს. ამასობაში თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი,
გარდაიცვალა-თქო.

– რა ბრძანეთ, სერ?

– კი, ასე უთხარი. მაინცადამაინც დიდი ტყუილიც არ
გამოგივა...

სალამოხანს, უკვე ცოტათი მომჯობინებულმა გამოვიღ-
ვიძე და დაუყოვნებლივ ჩამოვრეკე ზარი.

– ორჯერ შემოვიხედე, სერ. – ჯივზი მეუბნება. – მაგრამ ისე ღრმად გეძინათ, თქვენი გაღვიძება დამენანა, სერ.

– მოიფიქრე რამე?

– გამოწვლილვით მოვიხილე საკითხი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ გამოსავალი მხოლოდ ერთია, სერ.

– ერთიც სავსებით საკმარისია. რას გვთავაზობ?

– მისტერ სიპერლის მაგივრად უნდა გაემგზავროთ კემბრიჯს, სერ.

პირდაპირი მივაშტერდი. ეს ჩემი მსახური აშკარად ვერ იყო რომ უნდა ყოფილიყო, ისე.

– ჯივზ, – ვეუბნები. – აზრზე თუ ხარ, რას ბოდავ?

– სხვა ვარგისი არაფერი მომდის თავში, სერ.

– ვარგისიო?! ის ხალხი სიპის მოელის და ჩემი კი სახელიც არ სმენიათ არასოდეს!

– მით უკეთესი, სერ. მით უფრო იოლად გაასაღებთ თავს მისტერ სიპერლად, სერ. აკი ბოლოს ათი წლისა უნახავთ, სერ.

– და ჩემს... ფუი ეშმაკს, ჩემები არ მეყოფოდა – სიპის მამიდაზე რომ დამიწყონ გამოკითხვა, რა ვუთხრა?

– მისტერ სიპერლი უკვე მეც მოვინახულე, სერ. ფრიად საყურადღებო ამბები მაცნობა მამიდამისთან დაკავშირებით. ცალკე იმისი ჩვევებიც ჩამოგიწერეთ და იმედი მაქვს, ყურადღებით გაეცნობით, სერ. და რაც მთავარია...

– კიდევ რა უბედურება მოიგონე, ჯივზ?

– მე არა, სერ. მისის სპენსერმა უკვე სამჯერ დარეკა, სერ. დილის გაზეთები ნაუკითხავს და...

– დეიდა აგათას?! ვაი ჩემს თავს უბედურს! ჯივზ, ახლა რა მეშველება?!

– სასწრაფოდ ქალაქიდან უნდა გაემგზავროთ, სერ.

– ცამდე მართალი ხარ! ეგეთ განწყობაზე მყოფ დეიდა-ჩემს მტერი დაუდგა წინ! ჩემოდნები ჩამილაგე, ჯივზ – კემბრიჯს მივემგზავრები, ახლავე!

– ბარგი უკვე ჩალაგებულია, სერ.

– გამირკვიე, უახლოესი მატარებელი როდის გადის!

– ორმოც წუთში, სერ.

– სასწრაფოდ ტაქსი გამოიძახე!

– ჭიშკართან გელოდებათ, სერ.

პრინგლების სახლი კემბრიჯიდან სულ რაღაც ორიოდ მლის მანძილზე იდგა. ზედ სადილობის ჟამს მივადექი მათ და სანამ მთელი ოჯახი ტანსაცმლის გამოცვლით იყო გართული, ჩემს თავსაც მივხედე. მერე კი სასადილო ოთახში ჩავედი, მუხლების კანკალით.

– სალამი, სალამი! – ვამბობ და ვცდილობ, არაფერი შევიმჩნიო, ოღონდ არ კი ვიცი, ეს რამდენად გამომდის.

პრინგლების სიპისეული დახასიათება თუ გახსოვთ, მე ჩემის მხრივ, აღარც არაფერს დავუმატებდი. გარეგნულად პროფესორი პრინგლი ერთი ძვალტყავა, მელოტი, წყალწყალათვალეზიანი კაცი გახლდათ, მის მეუღლეს კი ისეთი გამომეტყველება ედო სახეზე, იფიქრებდი ბავშვობაში შეაშინა ვილცამ და ჯერ გონს ვერ მოსულაო. იქვე თავ-ფეხიანად შალის მოსასხამებში გახვეულ, აშკარად მდებრობითი სქესის კიდევ ერთ წყვილს წარუდგინეს ჩემი თავი:

– დედაჩემი გემახსოვრებათ... – ჩამჩურჩულა პროფესორმა, თან სამუზეუმო ექსპონატ A-ზე მიმითითა.

– ე-ე... კხმ! – წარვთქვი და საწყალობლად გავიღიმე.

– ეს კი მამიდაჩემი ჯვინია. – ისე ამოიოხრა მასპინძელმა, თითქოს მიცვალებულზე მეუბნებოდა.

– სასიამოვნოა, ე-ე... უაღრესად... – ჩავიბურტყუნე და ახლა ექსპონატ B-სკენ მივმართე ჩემი ღმეჭა-ლიმილი.

– სწორედ ამ დილით მეუბნებოდნენ, მშვენივრად გვახსოვს ის ონავარი ბიჭიო, – მთლად აიღო ნამუსზე ხელი პროფესორმა.

ოთახში მეტად უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მთელი ეს ჯამაათი ისე შემომცქეროდა, ედგარ ალან პოს რომელიღაც მრუმე ფანტასმაგორიის პერსონაჟები გამახსენდა და მთლად მოვიმჩვარე.

– მახსოვს, მახსოვს ჩვენი ოლივერი, – წართქვა ექსპონატმა A-მ. – ისეთი საყვარელი ბავშვი იყო... სამწუხაროა, სამწუხარო!

ძაან-ძაან ტაქტიანად გამოუვიდა, ღმერთმანი. ასეთ ოჯახში კაცი თავს ისე იგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში, ნაღლია.

– მეც მახსოვს, – ბაგენი განახვნა ექსპონატმა B-მ და ისე მომაჩერდა, როგორც ის მოსამართლე, სიპი რომ გაუშვა ციხეში. – აუტანელი ვინმე იყო, ჩემს კატას აწვალებდა ხოლმე.

სწორედ ამ დროს, სავარძლის ქვემოდან ბომბორა კატა გამოძვრა, აუჩქარებლად დაარტყა წრე ჩემს ფეხებს, მერე კუდი გააშტიკინა და დამყნოსა. საზოგადოდ, კატებთან მუდამ კარგი დამოკიდებულება მექონდა და სადღაც მენყინა კიდეც, სიპის კრიმინალური წარსული ასე დაუმსახურებლად რომ მომაკერეს. დავიხარე, მინდოდა კისერთან მომეფხანა მისთვის, მაგრამ ექსპონატმა B-მ რომ იკივლა, ლამის სისხლი გამეყინა ძარღვებში:

– არ გაბედო! ხელი არ ახლო!!!

წამოხტა და ისეთი სისწრაფით გამომდღლიზა ხელიდან ფისო, მეთქი რაღაც ჯადოთი ერთი ოციოდე წლით თუ გაახალგაზრდავდა მოხუცი... სხვა ახსნა ვერც მეპოვნა.

ბედზე, სწორედ ამ დროს ოთახში ვიღაც შემოვიდა.

– ჩემი ქალიშვილი, ელოიზა. – ისეთი ხმით მამცნო მას-პინძელმა, თითქოს ოდესღაც, ამ ფაქტის აღიარება მხოლოდ გავარვარებული შანთის მუქარით ეიძულებინოთ მისთვის.

შევტრიალდი, შევხედე და... გეუბნებით, ყბა ჩამომივარდა.

დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენგანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოგსვლიათ ამგვარი რამ, როცა ვიღაცას ვიღაცას მიახლოებდით, თან ისე კი არა, მიახლოებით – აი, ალიკვალიო რომ იტყოდით, სწორედ ისე. ერთხელ მაგალითად, მე მომივიდა ამგვარი რამ, როცა შოტლანდიას გავემგზავრე გოლფის სათამაშოდ და სასტუმროში ვიღაც ქალს შევეჩეხე – ღმერთმანი, იმ წამს ეჭვიც კი არ გამჩენია რომ დეიდაჩემი აგათა გამომდევნებოდა უკან! რა ვიცი, იქნებ სავსებით გულკეთილი და ჭკუადამჯდარი ბანოვანი იყო – ახლა რაღას გაარკვევ – მაგრამ მაშინ ფართხა-ფურთხით ჩავყარე ჩემი ნივთები ჩემოდანში და ისევ ლონდონს გავქეუსლე... ერთი კლუბიდან კი სწორედ იმიტომ ამოვიკვეთე ფეხი, მთავარი ოფიციალტი გაჭრილი ვაშლივით რომ გავდა ბიძაჩემ პერსის.

მაგრამ ახლა ისევ პრინგლების ოჯახს დავუბრუნდეთ: საქმე ისაა რომ ელოიზა პრინგლი ყოვლად უსინდისოდ მაგონებდა ჰონორეია გლოსოპს!

(გემახსოვრებათ ალბათ, იმ ფსიქომან როდერიკ გლოსოპის ერთადერთი ქალიშვილი, რომელზეც მთელი სამი კვირის განმავლობაში გახლდით დანიშნული... ჩემს ბედზე, ბებერმა გლოსოპმა ნაგიჟრების სიაში ჩამწერა და ცხადია, ნიშნობაც ჩაშალა. მას მერე, ღამ-ღამობით, ახლაც ცივ ოფლდასხმულს მეღვიძება ხოლმე. მოკლედ, ელოიზა პრინგლი გაცხადებული ჰონორეია გლოსოპი გახლდათ!).

- ე-ეე... კარგი გამარჯობა თქვენი, – ძლივს ამოვლერლე.
- სალამო მშვიდობისა, სერ.

ლმერთმანი, ხმაც კი არათუ მიუგავდა, მთლად ჰონორეისი იყო! იმ ხმას კი რა დამავიწყებდა – აი, ლომების მომთვინიერებელი რომ ერთ-ერთ თავის აღსაზრდელს უცაცხანებს ცუდი ქცევის გამო, მთლად ეგეთი. უნებლიეთ ნაბიჯი გადავდგი უკან, შევხტი და რალაც ფუმფულაზე დავეშვი. გაისმა ველური ჩხავილი, მერე ქალის კივილი და აზრზე რომ მოვედი, ქ-ნ ჯეინს ვკიდე თვალი – დივანთან ჩაცუცქულიყო და იმის ქვეშ შემძვრალ კატას უყვავებდა. მერე თავი მოატრიალა და ერთი ისეთი გამომხედა, ცხადი გახდა – მთლად განმტკიცებოდა ჩემს მიმართ გაჩენილი ეჭვები.

იმ წამს, სადილადაც გვიხმეს.

– ჯივზ, – ვეუბნები სალამოს. – ამ საგიჟეთში დიდხანს ნაღდად ვერ გავატან.

- ვერაფერი სიამოვნებაა, სერ?
- მის პრინგლი თუ ნახე?
- შორიდან მოვკარი თვალი, სერ.
- ბედი გქონია. არავის გაგონებს?
- მეპატიოს და, საოცრად გავს თავის დეიდაშვილს, მის ჰონორეია გლოსოპს, სერ.
- რაო?!
- არ იცოდით? ნამდვილად ეგრეა, სერ. მისის პრინგლის უფროსი და სერ როდერიკ გლოსოპის მეუღლე გახლავთ, სერ.
- ეშმაკი და ათი მცნება! ახლა გასაგებია...
- დიახ, სერ.
- ლაპარაკიც რომ მთლად მისას მიუგავს, ჯივზ!
- მის პრინგლის ხმა ჯერ არ მსმენია, სერ.

– არც არაფერი დაგიკარგავს, ლმერთმანი! და საერთოდ, ვაითუ სიპი მთლად დავალალატო... პროფესორსა და მის მეორე ნახევარს კიდე აიტანდა კაცი, იქნებ მამიდა ჯეინისთვისაც გამეძლო როგორმე, მაგრამ ელოიზას ყოველდღიური ხილვა... თან ისიცა თქვი, ლიმონათის გარდა პირში რომ არაფერს ისხამენ! გავაფრენ, ნაღდად. რა მეშველება, ჯივზ?

– როგორმე მის ელოიზასთან ურთიერთობა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოთ, სერ.

– შენც ამბობ, რა...

იოლი სათქმელია, ქალს ერიდუო, მაგრამ ხომ გესმით – როცა ერთ, თუნდაც დიდ სახლში ცხოვრობთ, ის კიდე სულაც არ ცდილობს თავი აგარიდოთ – თქვენი საქმე წასულია. ოცდაოთხი საათი არ იყო გასული, და უკვე აღარ ვიცოდი, რითი მეშველა თავისთვის. ხან კიბეზე შემეჩხებოდა ხოლმე და ხან კიდევ – დერეფანში; საკმარისი იყო ან სასტუმრო ოთახში, ან სასადილოში, ან სულაც მოსაწევ ოთახში შემეყო ცხვირი და ისიც წამში იქ გაჩნდებოდა ხოლმე. იფიქრებდი, ერთი-ორი ტყუპი და ნაღდად ეყოლებოდა. ის კი არა, ბაღში მოწყობილ ლაბირინთშიც ველარ დავემალე – პირდაპირ მაღალ, ხშირ ბუჩქებში ჭრიდა მოკლეზე... მოკლედ, სული ამომხადა.

– ჯივზ, – ვეუბნები ერთხელაც. – ქანცი გამიწყდა, საშველი თუ იცი რამე, დროზე მითხარი!

– სერ?

– ეს ქალი აჩრდილივით დამდევს უკან. წამით ველარ დავრჩენილვარ საკუთარ თავთან მარტო. მთელი დღე ხომ კემბრიჯის კოლეჯები დამატარა ჩემი (ე.ი. სიპის) სტატიებისათვის მასალის შესაგროვებლად, ახლა ტერასაზეც აღარ მაცალა მშვიდად სიგარეტის მოწევა... ლმერთმანი, მალე აბაზანაში, სასაპნიდან რომ ამოხტეს, ნაღდად არ გამიკვირდება!

– გისამძიმრებთ, სერ. ნამდვილად.
 – სამძიმარი სხვა დროს. ახლა რა ექნა?
 – ვერაფერს იზამთ, სერ. როგორც ვატყობ, მის პრინგლს გულში ჩაუვარდით, სერ. ამ დილით წვრილად გამომკითხა ლონდონში თქვენი ცხოვრების ამბავი, სერ.
 – ღმერთო დიდებულო!
 საშინელმა აზრმა გამიელვა თავში. სწორედ დილით, საუზმის დროს, შემთხვევით თავი ავწიე და ელოიზას თვალებს შევეფეთე. მაშინაც გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ ახლა ნამდვილად ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს სულისგამყინავი მზერა – სწორედ ასე შემომხედა ჰონორეია გლოსოპმა ჩვენი ნიშნობის გამოცხადებამდე სულ რაღაც ორიოდ დღით ადრე: მშვიერი ძუ ვეფხვის თვალები, ეს-ესაა ნადავლის სუნი რომ იკრა...
 – ჯივზ! – ამოვიკვნესე.
 – სერ?
 – ჯივზ, მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია, რომ ჭკვიანი ქალები მათზე გონებასუსტ კაცებზე ნადირობენ ხოლმე...
 – შესაძლოა, ამით ბუნება თანაფარდობის დაცვას ცდილობს ერთი სახეობის არსებებს შორის, სერ.
 – მაგდენი აღარ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, იტონის კურსდამთავრებულმა ჰონორეია გლოსოპმა ორ დღეში შემება ეუფანი.
 – მე კი მითხრეს, მის პრინგლი ბევრად უსწრებს თავის დეიდაშვილსო.
 – ეგეც შენ! აბა მე რას გეუბნებოდი?! ჯივზ, ძაან საეჭვოდ მიყურებს ხოლმე...
 – ნუთუ, სერ?
 – დერეფანში, ოთახებში თუ ბაღში – ყველგან მაგას ვანყდები...

– მართლა საეჭვო ამბავია, სერ.
 – სულ იმას ჩამჩინებს, წიგნებს მოგცემთ, თვალსაწიერის გასაფართოებლადო.
 – ეგ ილეთი რაღაც მეცნობა, სერ...
 – სადილზე კიდევ შენიშვნა მომცა – ჯობია სოსისების ჭამას თავი გაანებოთ, რადგან ოთხ ცალ ეგეთ რამეში იმდენივე მიკრობია, რამდენიც ერთი საშუალო ზომის მკვდარი ვირთხის კბილებშიო... როგორ მოგწონს? ქალში დედობრივმა ინსტინქტმა გაიღვიძა და ახლა ჩემს ჯანმრთელობას უფრო თხილდება...
 – უტყუარი სამხილები დაგიგროვებიათ, სერ.
 არაქათგამოცლილი ჩავესვენე სავარძელში.
 – ჯივზ, მეშველება რამე?
 – თუკი ამგვარ შეკითხვას კიდევ დაუსვამთ საკუთარ თავს, არც არაფერი, სერ.

მეორე დღეს კიდევ 10-12 კოლეჯი შემოვიარეთ და სახლში რომ დავბრუნდით, დაღლილობა მოვიმიზეზე – ჩემს ოთახში ავალ და ცოტა თვალს მოვატყუებ-მეთქი, განვაცხადე ხმამაღლა. მერე ერთი ნახევარი საათი შევიცადე, ჯიბეში წიგნი, პორტსიგარი, ასანთის კოლოფი ჩავილაგე, მეთად მოსახერხებელ სანჯიმარ მიღს ჩაუყევი და ბაღში გავედი. მინდოდა ზედ შუაგულში მოწყობილ ფანჩატურში მომესვენა მარტოს.

ამინდი გადასარევი იდგა, მზე ზომიერად აცხუნებდა, საყვავილეებში ყვავილები ყვავდნენ და არც ელოიზა პრინგლის აჩრდილი დამილანდავს სადმე ახლოში. მდელიზე კატა საკუთარ კუდს ეთამაშებოდა, მაგრამ როგორც კი გაიგონა ჩემი ფისო-ფისო, ამგვარ გართობას წამსვე თავი ანება და

ჩემკენ გამოემართა, დინჯად. ის იყო ხელში ავიტატი, ყურსუ-
კან მოფხანა დაეუპირე რომ ველური ნივილი მომესმა. თავი
ავნიე და რას ვხედავ – მამიდა ჯეინი სანახევროდ გადმოწეუ-
ლიყო ფანჯრიდან, ისე გაჰკიოდა და იქნევდა ხელებს, თით-
ქოს ხანძარს მოემწყვდიოს საკუთარ ოთახში და ახლა ვინმე
მშველელს უხმობდა. ვერ იყო ეს მთლად კარგი ამბავი. კატას
კი ვუში ხელი, მაგრამ მოხუცისათვის ქვის ტყორცნა მაინც
მომერიდა და ისევ ფანჯრის მიმართულებით გავსწიე.

ის იყო გემრიელად მოვენყვე სკამზე, სიგარეტს მოვუკი-
დე და წიგნი გადავშალე, რომ ფურცლებს ვიღაცის ჩრდილი
დაეცა. რა გამოცნობა უნდოდა – ცხადია, ქ-ნი ტკიპა იყო,
პირადად.

– აი თურმე სად ყოფილხართ! – თქვა, უფილტრო „პელ-
მელი“ მუხდმტუკიდან გამომიძრო და სადღაც მოისროლა, ბარ-
დებში. – ძალიან ბევრს ეწევით, უზომოდ. როგორ მინდა, ამ
მავნე ჩვევას თავი ანებოთ! მოწევა კიბოს იწვევს... და გარე-
თაც სულ ტყუილად გამოსულხართ რაიმე მოსაცმელის გარეშე
– საღამოობით აქ უცბად იცის ხოლმე აგრილება. გაუგონარი
ამბავია – მართლა ბავშვივით უნდა მოგხედოთ ვინმემ...

– მე ჯივზიც მეყოფა.

წარბები შეყარა.

– არ მომწონს ეგ კაცი.

– დაგიშავათ რამე?

– არა, მაგრამ... არ მომწონს და რა ვქნა. კარგი იქნებო-
და, დაგეთხოვათ.

საღამომდე ჯერ სად იყო, მაგრამ ღმერთმანი, მართლა
გამბურძგლა ტანში: მე და ჰონორეია გლოსოპი დავინიშნეთ
თუ არა, პირველი ეგ მითხრა, მაგ კაცის ფეხია არ დავინახო
ჩვენს სახლშიო.

– და რას კითხულობთ?

პასუხი არც დამაცადა, წიგნი ლამის წამგლიჯა ხელიდან,
გადაფურცლა და ტუჩები მობრიცა. წიგნს „სისხლიანი კვალი“
ერქვა. მაგარი დეტექტივი იყო.

– არ მესმის, ამ სისაძაგლეს რა გაკითხებთ! – თითქოს
ხმა ჩაუწყდაო, უცებ მოსხიპა – თქვენ რა, ბერტი ვუსტერსაც
იცნობთ?

გამახსენდა, სატიტულო ფურცელზე ჩემი გვარ-სახე-
ლი რომ წავაწერე. რა ვქნა, ჩემი მეგობრების გადამკიდე,
ეგეთი წინასწარი ზომები უბრალოდ, აუცილებელია. მაგათ
რომ კითხო, წიგნის ქურდი ქურდი კი არა, მწყალობელია –
თქვენს მხედველობასა და ტკბილ ძილზე ზრუნავს, სხვა კი
არაფერი.

– ე-ე... აბა რა გითხრათ...

– სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!

– ვიცნობ კი, ცოტათი.

– არ მესმის, ეგეთ ვინმესთან რა შეიძლება გქონდეთ
საერთო. სხვა თუ არაფერი, ჩემს დეიდაშვილ ჰონორეია გლო-
სოპთან მაგის ნიშნობა იმიტომ ჩაიშალა, საგიჟეთში უნდა
მოეთავსებინათ და...

– ეგ საიდანლა მოიტანეთ?!

– როგორ თუ საიდან! ბიძია როდერიკმა თქვა...

ბიძია როდერიკზე მეც ვეტყოდი ორიოდ თბილ სიტყვას,
მაგრამ ახლა არ ღირდა.

– რაო, რა მინდაო?

– თურმე ქუჩაში უწესო ქცევისათვის დაუჯარიმებიათ!
აბა, ეგეთი ვინმე ვისზე რა კეთილისმყოფელ გავლენას
იქონიებს? ხომ აღარ შეხვდებით ხოლმე? ჩემი ხათრით მა-
ინც...

სწორედ ამ დროს, კატა კეტბერტი შემოცუნცულდა ფანჩატურში და კრუტუნ-კრუტუნით შემახტა მუხლებზე, მომელაქუცა.

– მაგარი ბიჭია, – ვთქვი საუბრის თემის შესაცვლელად, მაგრამ – ნურას უკაცრავად...

– აბა, ჰო თუ არა?

მე ვითომ არც გამეგონოს, კატას გამალეებული ვფხანდი ყურებსუკან.

– ძალზე შეიცვალეთ მას შემდეგ, რაც ბოლოს გნახეთ, – ხმაში ნალევლი გაურია მის პრინგლმა. მერე ხელი გამოიწვინა და ახლა თავის მხრიდან დაუნყო კატას ფხანა. – გახსოვთ რომ მითხარით, რასაც მეტყვი, ყველაფერს შეგისრულებო? რა ბავშვები ვიყავით მაშინ...

– რა, მართლა ეგრე ვთქვი?

– ერთხელ კი იტირეთ კიდეც, იმიტომ რომ გაგიბრაზდით და საკოცნელად აღარ მოგიშვით...

არც მაშინ დამიჯერებია ეგ ამბავი და ვერც ახლა დავიჯერებ. სიპის რა ჭკუა მოეკითხება, მაგრამ არც მთლად ეგეთი გონებაჩლუნგია, ბოლოსდაბოლოს! ცოტათი გვერდზე გავიწიე და ფისო უფრო მოხერხებულად დავისვი მუხლებზე.

– ხელი უშვით ჩემს კეტბერტს!!!

თვალები ვჭყიტე. ჩემს წინ ნამდვილად მამიდა ჯვინი იდგა, ოღონდ როდის მოგვეპარა ასე ფეხაკრეფით, ვერაფერს გეტყვით. ასეა თუ ისე, მშვენიერი საბაბი მომეცა და მეც წამში გავშვი იქიდან.

– ეგ ღვთისპირიდან გადავარდნილი ეგა... ჩემს ტიბის კიდე ისრებს ესროდა ხოლმე... – მომესმა ზურგსუკან. ფეხს ავუჩქარე.

შემდგომი რამდენიმე დღე შედარებით მშვიდად გავატარე – ელოიზას თითქმის ვერ ვხედავდი, რადგან საწვინარი მილი შესანიშნავი სტრატეგიული ხაზი აღმოჩნდა და იმხანად სხვა გზით აღარც ვმოძრაობდი სახლიდან გარეთ და – პირუკუ. ასე თუ გაგრძელდა, ამ დარჩენილ ორ კვირასაც როგორმე გავატან-მეთქი, ვფიქრობდი.

მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია.

ერთ საღამოსაც, სასტუმრო ოთახის კარი რომ შევალე, ვხედავ – მთელი ოჯახი შეკრებილა, უკლებლივ. კატა კეტბერტი ხალიჩაზე თვლემდა, გალიაში იადონი სტვენდა... მოკლედ, ავბედითი წინათგრძნობის არავითარი საბაბი არა მქონია.

– სად დაიკარგეთ ეს დღეები? – ელოიზა მეკითხება.

– ოთახში გახლდით, მასალებს ვაწესრიგებდი.

– ერთი-ორჯერ დაგიკაკუნეთ, არავინ გამომპასუხებია...

– მართალია, ხანდახან ახლომდებარე გორაკებზე ვსეირნობ ხოლმე. მოგეხსენებათ, სულ მაგიდასთან ჯდომა ჯანმრთელობისათვისაც მავნებელია.

– *Mens sana in corpore sano*, – ღრმააზროვნად წართქვა პროფესორმა.

– წყალი არ გაუვა, – კვერი დავუკარი მეც.

და აი, ამ სიამტკბილობაში, მისის პრინგლმა შიგ კეფაში მწეპა ისე, თითქოს კასტეტი მომხვედროდეს. გადატანითი მნიშვნელობით, რასაკვირველია:

– როდერიკს რატომღაც, აგვიანდება.

ახლა იქნებ გაიკვიროთ კიდეც, ასე რატომ იმოქმედა ჩემზე ამ სიტყვებმა. რატომ და ხატზე დავიფიცებ, თუკი კაცი ოდესმე გადაყრია სერ როდერიკ გლოსოპს, მისთვის მხოლოდ ერთი როდერიკი იარსებებს ამქვეყნად და ისიც – ერთით მეტი, ვიდრე საჭიროა...

– როდ... ე-ე... რა ბრძანეთ?

– ჩემი დის მეუღლე, სერ როდერიკ გლოსოპი ჩამოდის კემბრიჯში, სახვლიოდ ლექცია აქვს დაგეგმილი წმ. ლუკას კოლეჯში, დღეს კი ჩვენთან ველით სადილად.

– სერ როდერიკ გლოსოპი! – გვამცნო მსახურმა. ეტყობა, სისხლი ისე მირტყამდა საფეთქლებში, მანამდე ზარის ხმა არც გამიგია. სასწრაფოდ დაჩრდილული კუთხისაკენ დავიხიე, უნებურად. არავითარი მკითხავი არ მჭირდებოდა იმის გასაგებად, რომ სულ მოკლე ხანში დიდი უსიამოვნება მელოდა.

თავიდან ბებერმა გლოსოპმა ვერც შემაძინია, დამხდურებს რაც შეეძლო, გულითადად მიესალმა და რალაც ბიდიშისდაგვარიც წაიბურტყუნა დაგვიანების გამო – სულ მძლოლის ბრალია ყველაფერი, ურემივით მართავდა მანქანასო.

მერე კი მაინც მკიდა თვალი და ისე დაიჭყანა, შეცდომით ჩქიკა ლვინის მაგივრად ძმარს რომ დაენაფება კაცი.

– ეს... – წამოიწყო გაცნობის ცერემონია პროფესორმა.

– არაა საჭირო, მისტერ ვუსტერს დიდი ხანია ვიცნობ.

– ეს ჩვენი სტუმარი გახლავთ, – ვითომც აქ არაფერიო, თავისას მიერეკებოდა მასპინძელი. – მისის სიპერლის ძმისშვილი. მისის სიპერლი ხომ გახსოვთ?

– მახსოვს და ეგრე? – ფსიქიკაშერყეულ ხალხთან ურთიერთობამ მას, ეტყობა, ლაპარაკის მკაცრი და შეუვალი ტონი გამოუშუშავა. – ოღონდაც ამ ყმანვილკაცს ბერტი ვუსტერს უხმობენ.

ყველა მე მომაჩერდა. ამდენი ცნობისმოყვარე სახე ერთად მანამდე არც არასოდეს მენახა.

– ე-ე... საქმე ის გახლავთ, რომ... – წამოვიკნავლე.

პროფესორის თავში მძიმე ინტელექტუალური სამუშაოები მიმდინარეობდა, აშკარად. შედეგად კი მხოლოდ ეს რიტორიკული შეკითხვა მივიღეთ:

– აკი თვითონვე გვითხრა, ოლივერ სიპერლი ვარო?

– ესე იგი, საკუთარი თავი ოჯახის ახლობლად გაასალა? ვითარების ამაზე ზუსტად განსაზღვრას ჰორნბის ლექსიკონიც ვერ მოაბამდა თავს.

– ასეც შეიძლება ითქვას, სერ. – თავი დავუქნიე.

სერ როდერიკმა ისეთი მზერა მტყორცნა, მისი მატერიალიზაციის შემთხვევაში მკერდშიც გაატანდა, ფილტვებშიც გააღწევდა და ზურგიდან გამომივიდოდა, კარგი ჟაკანით.

– აკი სულ იმას ვამტკიცებდი, შეშლილია-მეთქი! ვინ გამოდგა მართალი?!

– რაო, რა მინდაო? – გულუბრყვილოდ იკითხა მცირედ ყურნაკლულმა მამიდა ჯეინმა.

– როდერიკი ამბობს, ეს ახალგაზრდა კაცი ჭკუაზე აფრადად არისო! – აუხსნა პროფესორმა.

– ასეც ვიცოდი, – დასტურჰყო მოხუცმა ქალბატონმა. – ყოველ დღე სანვიმარი მილით ეშვება ეზოში და უკან, ოთახშიც მასვე ადის.

– რა ბრძანეთ?! – არცთუ მაინცადამაინც გაიკვირვა სერ როდერიკმა. – გეუბნებით, ეს ჯეელი დასაბმელი გიჟია და დროზე თუ არ მიგხედეთ, ავადმყოფობის შემდგომ საფეხურზე შეიძლება უკვე მკვლელობის მანიაც კი გაუჩნდეს!

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, იძულებული შევიქენი საბრალო სიპი ჩამეშვა – ბოლო-ბოლო, მაინც ყველაფერი გამომჟღავნდა და კუკუდამალობანას რალა აზრი ქონდა.

– ნება მომეცით თავად აგიხსნათ ეს პატარა გაუგებრობა, – ვთქვი და ნაბიჯი წინ წარვდგი, კარგი გამოჯეკილი ორა-

ტორივით. – ჩემმა მეგობარმა, ოლივერ სიპერლიმ მთხოვა, ასე ვთქვათ, ჩაენაცვლებოდი...

– ეგ როგორ? – გაიკვირვა პროფესორმა.

– პირადად ვერასგზით ვერ ჩამოვიდოდა, რადგან კონსტებლის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის გაასამართლეს და ერთი თვით ციხეში უკრეს თავი.

არც ისე ადვილი აღმოჩნდა ამ ხალხისთვის ყველაფერ იმის ახსნა, რა და როგორ მოხდა და ეს საქმეც რომ მოვათავე, უნდა გითხრათ, ჩემდამი მათი დამოკიდებულება ოდნავადაც არ შეცვლილა უკეთესობისაკენ. მადა საბოლოოდ წამიხდა და ხანგრძლივი ბოდიშობის მერე, კუჭცარიელი დავბრუნდი ოთახში.

– დაგვერხა, ჯივზ. – ვეუბნები.

– მაინც რა მხრივ, სერ?

– ყველაფერი გაიგეს...

– სერ?

ყველაფერი მოფუყევი და უიმედო სახით მივაჩერდი.

– ახლა რა ვქნათ, ჯივზ? – ვეკითხები ისე, ყოველი შემთხვევისათვის.

– საბედისწერო შემთხვევითობებისაგან არავინაა დაზღვეული, სერ. – მეუბნება რაღაც მაღალფარდოვნად. – ჩვენი საპასუხო ნაბიჯი კი მისი სიპერლის მონახულება იქნება, სერ.

– მერე მე მაგით რა, ჯივზ?!

– აჯობებს თქვენგან გაიგოს მწარე სიმართლე, სერ. თორემ ვინ იცის, პროფესორ პრინგლის მიწერილ წერილში რას ამოიკითხავს... მისტერ სიპერლის ასე უფრო დავებმარებით, სერ.

– მართალი ხარ, ჯივზ! წერილს კი არა, მთელ მოხსენებას გაუგზავნის!

– მე კი იმგვარი წინათგრძნობა მაქვს, სერ, რომ მისი სიპერლი მაინცადამაინც გულთან ახლოს არ მიიტანს ძმისშვილის ცელქობას, სერ.

– ეგ საიდანლა მოიტანე, ჯივზ? ჩემი დამშვიდება გინდა?

– არა სერ. დარწმუნებულიც კი ვარ, ასე იქნება.

– და ზუსტად სად ცხოვრობს, იცი?

– 150 კილომეტრში კემბრიჯიდან, სერ. მერე მთავარი გზიდან მცირე გადასახვევი და სულ ეგაა, სერ.

– აბა, წავედით!

მარტო იმის გაფიქრებამ, რომ არათუ ქ-ნ ჯეინისაგან, თავად სერ როდერიკისა და ელოიზა პრინგლისაგან სულ მალე მთელი 150 კილომეტრის მოშორებით ამოვყოფდი თავს, საგრძნობი შვება მომგვარა.

პედოკ-როუდზე მდებარე შენობა მშვენიერი სააგარაკო ნაგებობა აღმოჩნდა, სათუთად მოვლილი ბაღითა და მოკირწყლული მისასვლელი ბილიკით. ერთი შეხედვაც კი საკმარისი იქნებოდა გაგეფიქრათ, *აქ ნალდად ვილაციის დეიდა/მამიდა ცხოვრობსო...*

ბალშივე მოვკარი თვალი ვარდების ბუჩქთან მოფუსფუსე ქალბატონს და ეჭვიც არ შემპარვია, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო სიპის მამიდა. ჩავახველე:

– მისი სიპერლი?

ჩემკენ ზურგით იდგა და რატომღაც, ამ უწყინარ შეკითხვაზე ისე შეხტა, თითქოს შტრაუსის სალომეას პარტიის შემსრულებელ ფეხშიშველა მოცეკვავეს კონსერვის ჟანგიან ქილაზე დაებიჯებინოს ტერფი. თუმცა წონასწორობა მაინც შეინარჩუნა როგორღაც და გაკვირვებული მეკითხება:

– თქვენ აქ რა გინდათ?

– ჩემი გვარია ვუსტერი, ქალბატონო. თქვენი ძმისშვილის, ოლივერის ახლო მეგობარი გახლავართ...

– მაგას კიდევ არა უშავს, – მეუბნება. – სულ სხვა ვილაც მეგონეთ.

– არა, ნამდვილად მე ვარ, ბერტი ვუსტერი. საქმე ისაა რომ სიპის, ანუ ოლივერს...

– შეემთხვა რამე?

– ცუდი ამბავი მოგიტანეთ, ქალბატონო.

– ავარიაში მოყვა? დაიმტვრა?

ისე აღელდა, მეამა კიდევ – ერთი მამიდა მაინც აღმოჩნდა, ვისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არაა...

– არა ქალბატონო, ჯვარი სწერია! უბრალოდ, ციხეში მოხვდა.

– სადა?!

– ციხეში, ქალბატონო. და ჩემთვის მაინც, აქ ყველაზე სამწუხარო ისაა რომ ჩემი ხელიც – უფრო სწორად – ჩემი ენაც ურევია ამაში...

– არაფერი მესმის.

– ეს ოქსფორდ-კემბრიჯის რეგატის შემდეგ ღამეს მოხდა... სიპი ძალზე ნალვლიანი მეჩვენა და გასამხიარულებლად, ვურჩიე პოლიციელისთვის ჩაფხუტი წაეძრო თავიდან. იმას კიდევ – პოლიციელს ვგულისხმობ – ახლა ჩემთვის სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ეს არაფრად ეპიტნავა და... მოკლედ, სიპიმ ერთი მაგრად დაუწიავა.

– რა ქნა?

– მოსდო, ხია, მიბერტყა...

– პოლიციელი?!

– კონსტებლი, ქალბატონო.

– გინდათ თქვათ, ჩემმა ოლივერმა პოლიციელი გალახა?

– სამწუხაროდ, ურყევი ფაქტია, მისის სიპერლი. სასამართლოში ვერაფერი გავანყვეთ და მოსამართლემაც, ჯვარის ნაცვლად, საკანში ჩააყუდა ერთი თვით...

მართალი გითხრათ, ყველაფერს ველოდი, მაგრამ ამისთანა რამეს – არანაირად: ქალმა ჯერ გაიღიმა, მერე გაიცინა, მერე ისეთი ხარხარი აუტყდა, დარბაისელ ქალბატონს რომ არც ეკადრება და ბოლოს, ბალახზე როკვასაც კი მოჰყვა!

ვიფიქრე, ბედი მისი, სერ როდერიკი რომ არ მახლავს თან-მეთქი – წამში შეშლილად გამოაცხადებდა და გიჟის პერანგსაც მოითხოვდა მისთვის.

– არ ბრაზობთ? – ვეკითხები ფრთხილად, თან ორიოდ ნაბიჯით უკან ვიხევ.

– ვბრაზობო?! რას ბრძანებთ! ამისთანა საამო ამბავი კარგა ხანია არ მსმენია, ყმანვილო!

არა, იმედი კი მქონდა, ისტერიკას არ გამიმართავს-მეთქი, მაგრამ ეს ზღვარგადასული მხიარულება უკვე მაინც ნამეტანი იყო.

– უნდა გითხრათ, ვამაყობ კიდევ ჩემი ძმისწულით! – გამომიცხადა უცებ.

– სასიამოვნოა, სასიამოვნო...

– ყველა ბრიტანელი ახალგაზრდა ხანდახან მაინც რომ გამოიდებდეს ასე თავს, ჩვენს ბედს ძალღი არ დაჰყევდა, მე გეუბნებით!

მართალი გითხრათ, მისი ლოგიკის ძაფს მთლად ბოლომდე ვერ ჩავეყევი, მაგრამ ჩემზე დაკისრებული დავალება ხომ შევასრულე და ესეც საკმარისი იყო ჩემთვის. მაღლობა მოვახსენე, თავი დავუკარი და გამოვბრუნდი. ზურგსუკან კიდევ კარგა ხანს მესმოდა ქალბატონ სიპერლის მხიარული კისკისი.

– საქმე კი მოგვარდა, ჯივზ, – ვუთხარი, როგორც კი სასტუმროში ჩვენი ოთახის კარი შევალე. – ოღონდ ცოდვა გამხელილი ჯობია და აზრზე არა ვარ, რა ხდება.

– და რა ხდება, სერ?

წვრილად მოვუყევი ექსცენტრიული ქალბატონის ქცევა.

– არაფერია გასაკვირი, სერ. ამ ბოლო კვირის განმავლობაში ადგილობრივმა კონსტებლმა ლამის სისხლი გაუშრო მისი სიპერლის, სერ. იქნებ ამიტომაცაა ზოგადად მათ მიმართ ასე მტრულად განწყობილი, სერ.

– კარგი ერთი! და რაზე მოსდეს შარი, თუ იცი?

– სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას ზედმეტად გამოიღო თავი და, შეიძლება ითქვას, საკუთარ უფლებებს ოდნავ გადაამეტა კიდეც, სერ. ხან სოფლის გზაზე სიჩქარის გადაჭარბების გამო უწერდა ჯარიმის ქვითრებს, ხან ძაღლის უალიკაპოდ გასეირნებაზე დებდა შარს და ერთხელ – ბუხრის დანთების გამო წლის შეუსაბამო მონაკვეთში... არადა, მისი სიპერლი შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობს იმ არე-მარეში და მისთვის სიტყვის შებრუნებასაც აქამდე ვერავინ ბედავდა. ახლა კი პოლიციელები აითვალწუნა როგორც კლასი, როგორც საზოგადოების ფენა, და შედეგად – მისტერ სიპერლის ქცევაც მის თვალში უარყოფითიდან დადებითად წარმოჩინდა, სერ.

ახლა გასაგები იყო ყველაფერი. თუმცა არა, მთლად ყველაფერი არა.

– და შენ საიდან იცი ეს, ჯივზ?

– თავად კონსტებლისაგან, სერ. ჩემი მამიდაშვილია.

ყბა ჩამომივარდა და, როგორც რომ პოეტები უბნობენ, თვალთ ამეხილა.

– ღმერთო დიდებულო! კონსტებლი მოისყიდე, ჯივზ?!

– როგორ გეკადრებათ, სერ! უბრალოდ, გასულ შაბათს მისი დაბადების დღე გახლდათ და მცირედი საჩუქარი გავუგზავნე – ეგბერტი ყოველთვის მიყვარდა, სერ.

– მაინც, რამდენი?

– ხუთი ფუნტი, სერ.

წამსვე ჯიბისკენ წავილე ხელი.

– ეს შენ ორი ცალი ხუთფუნტიანი, ჯივზ.

– მეორე რილასთვის, სერ?

– ისე, წამახალისებელ ჯილდოდ.

– მადლობელი, დიდად. მუდამ თქვენს სამსახურში მიგულეთ, სერ.